*დანართი №1*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნება, კულტურა, იდენტობები“**

**სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია**

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

24.07.2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ..... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ..... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ..... 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ..... 14

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ..... 19

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ..... 21

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ..... 26

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 203851545 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირაკლი ჩხაიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პატარაია, ევროპის უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | ხელოვნება, კულტურა, იდენტობები |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Art, Culture, Identities |
| უმაღლესი განათლების საფეხური | უმაღლესი განათლების მეორე საფეხური (მაგისტრატურა) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | კულტურის კვლევების მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0314.1.4 კულტურის კვლევები<br>Cultural Studies |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>09.08.2012<br>N 333 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნება, კულტურა, იდენტობები“ გულისხმობს ქართული კულტურის თავისებურებების კომპლექსურ სწავლებას ინტერდისციპლინური მიდგომის ფარგლებში. პროგრამა ფოკუსირებულია ქართლული კულტურის, როგორც „საკუთარი საზრისის, საკუთარი ცენტრის“ მქონე ფენომენის შესწავლაზე. პროგრამას განსაზღვრული აქვს მიზნები (სულ - 6 მიზანი), რომლებიც გულისხმობს, ერთი მხრივ, ჰუმანიტარული მეცნიერებების, კერძოდ, სახელოვნებათმცოდნეო და კულტურის კვლევის მეთოდების შესწავლას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ქართული კულტურის თავისებურებების გააზრებას/კვლევას. პროგრამის მიზნებში გაცხადებული მიდგომა ინოვაციური და საინტერესოა, ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებიც, თეორიული ცოდნით და პრაქტიკული კვლევების განხორციელების უნარით, შეძლებენ წვლილის შეტანას საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა აგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით უზრუნველყოფს კულტურის კვლევების მაგისტრის კვალიფიკაციისათვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებას
.
პროგრამას აქვს გარკვეული ხარვეზები და სუსტი მხარეები, რომლებიც მოცემულ დასკვნაში ასახულია რეკომენდაციებისა და რჩევების სახით. აღვნიშნავთ, რომ პროგრამის სუსტი მხარეები არსებით გავლენას არ ახდენენ მის ხარისხზე, თუმცა მათი გამოსწორება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის დახვეწას და სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა, წარმოების შინაარსიდან და სახიდან გამომდინარე, შეფასდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. ექსპერტთა მიერ შეფასდა პირველი და მეორე სტანდარტი, ასევე მეოთხე სტანდარტის 4.1 კომპონენტი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნება, კულტურა, იდენტობები“ შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 120 კრედიტს შეადგენს (1 კრედიტის მოცულობა – 25 საათი). პროგრამა კარგად არის დაბალანსებული სავალდებულო და არჩევითი კურსების თანაფარდობის თვალსაზრისით. საფაკულტეტო სასწავლო

კურსებს ეთმობა 20, ხოლო სპეციალობის კურსებს - 40 კრედიტი. არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრულია 25 კრედიტი. გარდა აღნიშნულისა, პროგრამას აქვს პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც მოიცავს 5 კრედიტს. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს ეთმობა 30 კრედიტი. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით და უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის კვალიფიკაციათა აღწერით არის განსაზღვრული.

სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. აღწერილია სულ 11 შედეგი, რომლებიც მკაფიოდაა ფორმულირებული და პასუხობს პროგრამის ინტერდისციპლინურ ბუნებას. „ხელოვნება, კულტურა, იდენტობები“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის მიზნების, სწავლის სფეროს სპეციფიკისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა ორიენტირებულია ხელოვნების, კულტურისა და იდენტობების კვლევის მიმართულებით სტუდენტების სიღრმისეული თეორიული ცოდნის, კრიტიკული ანალიზის, კვლევითი კომპეტენციების, აკადემიური წერისა და დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის უნარების განვითარებაზე.

- **რეკომენდაციები**

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია კურსის მიზნების მისაღწევად შეუსაბამოდ მცირე მასალა. მაგალითად, კურსი მოიცავს მხოლოდ ერთ ან ორ ერთეულ სავალდებულოდ წასაკითხ ტექსტს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც თანამედროვე სოციალური მეცნიერებების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია და მათ გარშემო მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს. ასევე მნიშვნელოვნია ზოგიერთი სასწავლო კურსის ბიბლიოგრაფიის განახლება და გამრავალფეროვნება თანამედროვე კვლევების შედეგებით. გამომდინარე იქიდან, რომ საქმე გვაქვს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სასწავლო პროცესის განხორციელებასთან, რაც გულისხმობს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას, ჩვენი რეკომენდაციაა, სილაბუსები გადაიხედოს აღნიშნული თვალსაზრისით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

მნიშვნელოვანი, პროგრამის აღწერილობითი ნაწილი დაიხვეწოს და მეტად ორიენტირებული გახდეს სწავლებაზე. მაგალითად, აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ, რომ „პროგრამა გულისხმობს ქართული კულტურის ინტეგრირებულ კვლევას,“ „ვარაუდობს“ კულტურის კვლევებისა და კლასიკური თეორიების შერწყმას ქართული კულტურის შესწავლის მიზნით. მსგავსი უფრო კვლევითი ნაშრომისთვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგია, გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნის პროგრამის ძირითად იდეასა და ფოკუსთან დაკავშირებით.

სამაგისტრო პროგრამის საბაზისო მიზანია ქართული კულტურის, როგორც თავისთავადი და განსაკუთრებული ფენომენის შესწავლა, რაც პროგრამის საინტერესო და ორიგინალურ კონცეფციაზე მიუთითებს, თუმცა სპეციალობის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში პრაქტიკულად არ გვხვდება ქართული კულტურის ფენომენის შესწავლასა და გააზრებაზე ორიენტირებული საგნები, რაც ართულებს პროგრამის ძირითადი მიზნის

განხორციელებას. ჩვენი რეკომენდაციაა, კურიკულუმს დაემატოს საგანი/საგნები, რომელთა ძირითადი ფოკუსი პროგრამის მიზნიდან გამომდინარე ქართული კულტურის თავისებურებების გააზრება იქნება.

მნიშვნელოვანია, ინფორმაცია კორექტირდეს დანართში „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი და შეფასების კრიტერიუმები."

სასურველია, რომ ინსტიტუციას ჰქონდეს CV-ების სტანდარტიზებული ფორმა, რომელშიც ყველა ინფორმაციის გადატანა იქნება აუცილებელი. პერსონალის მხრიდან წარმოდგენილი CV- ების ნაწილში, საერთოდ არ არის მითითებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევები და გამოქვეყნებული სტატიები

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არსებული რჩევები და რეკომენდაციები (გარდა რეკომენდაციისა 1.5) სრულად არის გაზიარებული უსდ-ს მიერ. არგუმენტირებულ პოზიციაში შემოთავაზებული პასუხები, რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის მზაობა და წარმოდგენილი ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია მისაღებია ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული 1.5 რეკომენდაცია ეხება სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში ქართული კულტურის გააზრებაზე ორიენტირებული კურსის ან კურსების დანერგვას. აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა პროგრამის საბაზისო კონცეფციიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. უსდ-ს მიერ არგუმენტირებული პოზიციის თანდართულ დოკუმენტად წარმოდგენილია პროფესორ ლიანა ანთელავას წერილი, სადაც ახსნილია, თუ რა ფორმით, რომელი კურსებისა და აქტივობების ფარგლებში არის ინტეგრირებული ქართული კულტურის საკითხები. წარმოდგენილი პოზიცია და არგუმენტაცია მისაღებია ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის, თუმცა ვიტოვებთ უფლებას, რომ აღნიშნული შენიშვნა გავცეთ რჩევის სახით. ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში არსებული კვლევები, რომლებიც ქართული კულტურისა და იდენტობის განვითარებას ეხება, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საქართველოს შემთხვევასთან დაკავშირებული საკითხები ისწავლებოდეს კონცენტრირებულად კონკრეტული საგნის ამ საგნების ფარგლებში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის „ხელოვნება, კულტურა, იდენტობები,“ მიზანია ქართული კულტურის თავისებურებების კომპლექსური სწავლება კულტურის კვლევების დისციპლინის ფარგლებში. პროგრამა ფოკუსირებულია ქართლული კულტურის, როგორც „საკუთარი საზრისის, საკუთარი ცენტრის“ მქონე ფენომენის შესწავლაზე. პროგრამას განსაზღვრული აქვს მიზნები (სულ - 6 მიზანი), რომლებიც გულისხმობს, ერთი მხრივ, ჰუმანიტარული მეცნიერებების, კერძოდ, სახელოვნებათმცოდნეო და კულტურის კვლევის მეთოდების შესწავლას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ქართული კულტურის თავისებურებების გააზრებას/კვლევას. პროგრამის მიზნებში გაცხადებული მიდგომა ინოვაციური და საინტერესოა, ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებიც, თეორიული ცოდნით და პრაქტიკული კვლევების განხორციელების უნარით, შეძლებენ წვლილის შეტანას საზოგადოების განვითარებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. აღწერილია სულ 11 შედეგი, რომლებიც მკაფიოდაა ფორმულირებული და პასუხობს პროგრამის ინტერდისციპლინურ ბუნებას. სწავლის შედეგები ფორმულირებულია ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით, შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის შედეგების კლასიფიკატორით განსაზღვრულ სტანდარტებთან. სამაგისტრო პროგრამით სწავლის შედეგად სტუდენტი იღებს მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ ცოდნას ქართული კულტურის, ესთეტიკური აზრის, ხელოვნების შესახებ. სტუდენტი ასევე იძენს სახელოვნებათმცოდნეო და კულტურის კვლევის მეთოდების, თანამედროვე თეორიების ღრმა ცოდნას, შეუძლია ერთმანეთს დაუკავშიროს კონცეპტუალური და ემპირიული საკითხები, რაც შესაბამისობაშია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტების (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები და არჩევითი სასწავლო კურსები, სამაგისტროს ნაშრომი) ერთობლიობა უზრუნველყოფს კულტურის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას სწავლის შედეგების – კომპეტენციების (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) მიღწევის შემდეგ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- უსდ-ს მისია

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

„ხელოვნება, კულტურა, იდენტობები“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის მიზნების, სწავლის სფეროს სპეციფიკისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა ორიენტირებულია ხელოვნების, კულტურისა და იდენტობების კვლევის მიმართულებით სტუდენტების სიღრმისეული თეორიული ცოდნის, კრიტიკული ანალიზის, კვლევითი კომპეტენციების, აკადემიური წერისა და დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის უნარების განვითარებაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს როგორც სასწავლო პროცესში მიმდინარე შეფასებას, ასევე კვლევითი კომპონენტის შეფასებას. პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც წარმოადგენს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ძირითად ინსტრუმენტს. ამასთან, პროგრამა ითვალისწინებს შუალედური დაცვის ეტაპს, რაც უზრუნველყოფს კვლევის პროცესის მონიტორინგს, სტუდენტის პროგრესის შეფასებასა და დროულ აკადემიურ უკუკავშირს.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის გაწერილი და მოიცავს საკვლევი პრობლემის ფორმულირების ხარისხს, კვლევის მეთოდოლოგიურ გამართულობას, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციას, აკადემიური ეთიკის დაცვასა და კვლევის შედეგების პრეზენტაციას. აღნიშნული კრიტერიუმები იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს როგორც ცოდნის დონე, ასევე კვლევითი, ანალიტიკური და კომუნიკაციური უნარები.

დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამაში არსებული შეფასების მექანიზმები ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადგენაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- შუალედური დაცვის პროცედურა და შეფასების პარამეტრები
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნება, კულტურა, იდენტობები" შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 120 კრედიტს შეადგენს (1 კრედიტის მოცულობა – 25 საათი). პროგრამა კარგად არის დაბალანსებული სავალდებულო და არჩევითი კურსების თანაფარდობის თვალსაზრისით. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს ეთმობა 20, ხოლო სპეციალობის კურსებს - 40 კრედიტი. არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრულია 25 კრედიტი. გარდა აღნიშნულისა, პროგრამას აქვს პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც მოიცავს 5 კრედიტს. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს ეთმობა 30 კრედიტი. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით და უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის კვალიფიკაციათა აღმწერით არის განსაზღვრული.

მიუხედავად აღნიშნულისა, პროგრამის შინაარსის აღწერილობით ნაწილში სასურველია მეტი ტერმინოლოგიური მკაფიოობა. აღწერილობაში უფრო მეტად აქცენტირებულია კვლევა, ვიდრე სწავლება. მართალია, კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო საფეხურზე სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა სასწავლო პროგრამის ძირითადი მიზანი/იდეა სწავლება უნდა იყოს. მაგალითად, აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ, რომ „პროგრამა გულისხმობს ქართული

კულტურის ინტეგრირებულ კვლევას,“ „ვარაუდობს“ კულტურის კვლევებისა და კლასიკური თეორიების შერწყმას ქართული კულტურის შესწავლის მიზნით. მსგავსი უფრო კვლევითი ნაშრომისთვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგია, გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნის პროგრამის ძირითად იდეასა და ფოკუსთან დაკავშირებით.

ტექნიკური უზუსტობაა თანდართულ დოკუმენტაციაში, კერძოდ, „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი და შეფასების კრიტერიუმები“ (დანართი #3), ნაწილობრივ აღწერს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესს შესაბამისი ეტაპებით და კრიტერიუმებით. მნიშვნელოვანი აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითსეფასების ანგარიში
- დანართი #3

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მნიშვნელოვანი, პროგრამის აღწერილობითი ნაწილი დაიხვეწოს და მეტად ორიენტირებული გახდეს სწავლებაზე. მაგალითად, აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ, რომ „პროგრამა გულისხმობს ქართული კულტურის ინტეგრირებულ კვლევას,“ „ვარაუდობს“ კულტურის კვლევებისა და კლასიკური თეორიების შერწყმას ქართული კულტურის შესწავლის მიზნით. მსგავსი უფრო კვლევითი ნაშრომისთვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგია, გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნის პროგრამის ძირითად იდეასა და ფოკუსთან დაკავშირებით.

- მნიშვნელოვანია, ინფორმაცია კორექტირდეს დანართში „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი და შეფასების კრიტერიუმები.“

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამა შედგება საფაკულტეტო, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი კურსებისგან, ასევე პრაქტიკული კომპონენტისგან. სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია, მრავალფეროვანია და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამა ორიენტირებულია სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს გადასცეს კულტურის კვლევების კონცეპტუალური საკითხების გარშემო, განუვითაროს ინოვაციური კონცეპტუალური მიდგომებით ქართული კულტურის გააზრების უნარი. სასწავლო კურიკულუმი ამ იდეის გარშემოა აგებული და პასუხობს პროგრამის მიზნებს. შემოთავაზებული სასწავლო კურსები ფარავს იმ ძირითად კომპეტენციებს, რომელიც აუცილებელია თანამედროვე კულტურის კვლევების მაგისტრის კვალიფიკაციის მისაღებად. სამაგისტრო პროგრამაში დანერგილი კურსები ინტერდისციპლინური ხასიათისაა და ემსახურება სტუდენტებისთვის მრავალმხრივი ცოდნის გადაცემის მიზანს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო პროგრამის სილაბუსები
- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია კურსის მიზნების მისაღწევად შეუსაბამოდ მცირე მასალა. მაგალითად, კურსი მოიცავს მხოლოდ ერთ ან ორ ერთეულ სავალდებულოდ წასაკითხ ტექსტს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც თანამედროვე სოციალური მეცნიერებების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია და მათ გარშემო მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს. ასევე მნიშვნელოვანია ზოგიერთი სასწავლო კურსის ბიბლიოგრაფიის განახლება და გამრავალფეროვნება თანამედროვე კვლევების შედეგებით. გამომდინარე იქიდან, რომ საქმე გვაქვს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სასწავლო პროცესის განხორციელებასთან, რაც გულისხმობს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას, ჩვენი რეკომენდაციაა, სილაბუსები გადაიხედოს აღნიშნული თვალსაზრისით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სამაგისტრო პროგრამის საბაზისო მიზანია ქართული კულტურის, როგორც თავისთავადი და განსაკუთრებული ფენომენის შესწავლა, რაც პროგრამის საინტერესო და ორიგინალურ კონცეფციაზე მიუთითებს, თუმცა სპეციალობის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში პრაქტიკულად არ გვხვდება ქართული კულტურის ფენომენის შესწავლასა და

გააზრებაზე ორიენტირებული საგნები, რაც ართულებს პროგრამის ძირითადი მიზნის განხორციელებას. ჩვენი რეკომენდაციაა, კურიკულუმს დაემატოს საგანი/საგნები, რომელთა ძირითადი ფოკუსი პროგრამის მიზნიდან გამომდინარე ქართული კულტურის თავისებურებების გააზრება იქნება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
|---|---|---|
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს ისეთი კანდიდატების შერჩევას, რომელთაც გააჩნიათ პროგრამის წარმატებით ათვისებისთვის აუცილებელი აკადემიური მომზადება და მოტივაცია.

პროგრამაზე მიღების მსურველს მოეთხოვება ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება, უცხო ენის ცოდნის დადასტურება და სპეციალობის

გამოცდის გავლა. სპეციალობის გამოცდა მოიცავს რეფერატისა და პრეზენტაციის წარმოდგენას, რაც კანდიდატის კვლევითი, ანალიტიკური და აკადემიური უნარების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

რეფერატის შეფასების კრიტერიუმები ორიენტირებულია საკვლევი საკითხის აქტუალობის გააზრებაზე, კვლევითი პრობლემის ფორმულირების უნარზე, არგუმენტირებული მსჯელობის, ანალიზისა და დასკვნების ჩამოყალიბების შესაძლებლობაზე. პრეზენტაციის შეფასებისას ყურადღება ექცევა ინფორმაციის სტრუქტურირებულ გადმოცემას, აკადემიურ კომუნიკაციასა და საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კანდიდატთა არა მხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ კვლევითი და კრიტიკული აზროვნების უნარების შეფასებას.

დაშვების წინაპირობები შინაარსობრივად გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან და ორიენტირებულია ისეთი სტუდენტების შერჩევაზე, რომლებიც შეძლებენ ხელოვნების, კულტურისა და იდენტობების კვლევის მიმართულებით დამოუკიდებელი აკადემიური და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობების აღწერა
- სპეციალობის გამოცდის პროგრამა
- რეფერატისა და პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები
- მისაღები გამოცდის ქულათა განაწილების სისტემა

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: „კულტურის კვლევების თანამედროვე მეთოდები,“ „სახელოვნებათმცოდნეო კვლევის მეთოდები,“ „თანამედროვე კულტურა და ეპოქის ზოგადი პარადიგმა.“ ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.

სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარება ასევე შესაძლებელია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სასწავლო კურსებში წარმოდგენილია აქტიური, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები. პროგრამა ხორციელდება შემდეგი სწავლება სწავლის მეთოდებითა და აქტივობებით: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე

მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ინდუქცია, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები: შემთხვევის ანალიზის (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიში (Brain storming). სტუდენტები ამზადებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ კვლევით პროექტს, მის პრეზენტაციას, ჯგუფური მუშაობის დროს იმართება დისკუსია/დებატები და სხვა. სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების, ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად, შესაძლებელია გამოყენებული იქნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, პროცედურა რეგულირდება შესაბამისი დადგენილებით. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სწავლება სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამაში მოქმედი სტუდენტთა შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას და ეფუძნება გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების მექანიზმები ორიენტირებულია როგორც სტუდენტის ცოდნის, ისე კვლევითი, ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის უნარების შეფასებაზე.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის პროცესი რეგულირდება შესაბამისი წესებით, რომლებიც განსაზღვრავს ნაშრომის მომზადების, შუალედური დაცვისა და საბოლოო დაცვის ეტაპებს. პროგრამაში დანერგილი შუალედური დაცვის მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის მონიტორინგს, სტუდენტის პროგრესის შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში კვლევის მიმართულების კორექტირებას.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი და მოიცავს კვლევის თემის აქტუალობას, კვლევითი პრობლემის ფორმულირებას, ნაშრომის სტრუქტურულ გამართულობას, გამოყენებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციას, დასკვნების არგუმენტირებულობას, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვასა და ნაშრომის პრეზენტაციის ხარისხს. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ქულობრივი დიაპაზონი და შეფასების აღწერები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას.

პროგრამაში მოქმედი შეფასების სისტემა ქმნის პირობებს სტუდენტის მიღწევების სრულფასოვანი შეფასებისთვის და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი
- შუალედური დაცვის პროცედურა და შეფასების პარამეტრები
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები
- სამაგისტრო ნაშრომის პარამეტრები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.4 სტუდენტების შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

-

| მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა | |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის „ხელოვნება, კულტურა, იდენტობები“ განხორციელებაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და სამეცნიერო საქმიანობა სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამის ხელმძღვანელი არის ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (დოქტორთან გათანაბრებული), მრავალწლიანი აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილების მქონე სპეციალისტი, რომელიც 2006 წლიდან საქმიანობს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და აქტიურად არის ჩართული სასწავლო და სამეცნიერო პროცესებში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აერთიანებს ხელოვნებათმცოდნეობის, არქიტექტურის ისტორიის, კულტურის კვლევების, ფილოსოფიის, ესთეტიკის, კულტურული მემკვიდრეობის, განათლების მეცნიერებებისა და ჰუმანიტარული კვლევების მიმართულებების სპეციალისტებს. აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობს დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებულ ხარისხს და წარმოდგენილია როგორც უნივერსიტეტში, ისე ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით სივრცეში აქტიური მკვლევრების სახით.

პერსონალის პროფესიული გამოცდილება მოიცავს როგორც აკადემიურ საქმიანობას, ასევე ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრირებას, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში მონაწილეობას, საერთაშორისო პროექტებსა და კვლევით საქმიანობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიური პერსონალის ჩართულობა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში, საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და კვლევით პროგრამებში.

პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მონაწილეობა. პროგრამაში წარმოდგენილნი არიან ფილოსოფოსები და კულტურის მკვლევრები, რომელთა სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება აძლიერებს პროგრამის თეორიულ და კულტურათმცოდნეობით კომპონენტებს.

ასევე მნიშვნელოვანია ხელოვნების ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და არქიტექტურის მიმართულებების სპეციალისტების მონაწილეობა, რომელთაც აქვთ მრავალწლიანი სამეცნიერო, სასწავლო და კვლევითი გამოცდილება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად საკმარისია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და კვლევითი კომპონენტის ეფექტიანი განხორციელებისათვის.

| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**[6] | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი**[7] | **მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი** |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | **7** | | **-** | **7** |
| - პროფესორი | 3 | 3 | - | 3 |
| - ასოცირებული პროფესორი | 3 | 3 | - | 3 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | - | 1 |
| - ასისტენტი | | | - | |
| მოწვეული პერსონალი | 3 | | - | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | 4 | | | _ |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის CV-ები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესახებ ინფორმაცია
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობებისა და პროფესიული გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაცია

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, რომ ინსტიტუციას ჰქონდეს CV-ების სტანდარტიზებული ფორმა, რომელშიც ყველა ინფორმაციის გადატანა იქნება აუცილებელი. პერსონალის მხრიდან წარმოდგენილი CV- ების ნაწილში, საერთოდ არ არის მითითებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევები და გამოქვეყნებული სტატიები

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.1 ადამიანური რესურსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

-

| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომების ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები | მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | | | |
| - პროფესორი | | | |
| - ასოცირებული პროფესორი | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| - ასისტენტ-პროფესორი | | | |
| მოწვეული პერსონალი | | | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | _ |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ -

**რეკომენდაციები:**

○ -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.4 მატერიალური რესურსი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს

რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

## 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.2 გარე ხარისხის შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.3 პროგრამის მონიტორინგი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

| |
|---|
| და პერიოდული შეფასება |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

თანამედროვე კულტურის კვლევები, მაგისტრატურა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| შეფასება / სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

<u>ხელმოწერები:</u>

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ირაკლი ჩხაიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ნინო პატარაია

